საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა" თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15 [illegible] მ.; კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 400 მანეთი

№ 30

კვირა, სექტემბრის

1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწუხარებაში მყოფნი, მეუღლე ვეფხო აკობაშვილი, დედა ივლიტა ყორაღელისა, და თამარი, სიძე ვასილი ქისტაურიძე, მამამთილ-დედამთილი ბარე და აბრამ აკობაშვილები, მული და სიძე ცოცხალაშვილები, თინა და მაქსიმე გელონია აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი საყვარელი

მარიამ (მარო) აკობაშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, 21 სექტემბერს, დილის 8 საათზე. ცხედრის გამოსვენება დანიშნულია 25 სექტემბერს, დილის 10 საათზე. დაკრძალვა მიხეილის საავადმყოფოდან ვერაზე წმ. ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში.

ტრიბუნიდან

19.

ცხოვრების გაიაფების გამო.

საყურადღებო მოვლენა, რომელსაც ჩვენი ხალხისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს—ცხოვრების გაიაფებაა. ამ ბოლო დროს, როგორც ტფილისის ბაზარზე, ისე საერთოდ საქართველოს ბაზარში საქონლის ფასი საგრძნობლად დაეცა. ტფილისი ეხლა პირველი მოთხოვნილების საგნებით, შეიძლება ითქვას, დატვირთულია. თეთრი პური, მეტად კარგი [illegible] ხორცი, შაქარი და ყოველივე სხვა სანოვაგე—საქონელი ჩვენს მყიდველობითი საშუალებასაც აღემატება.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჯერ კიდევ საქონლის ფასები არ დასულა იმ დონემდე, რომ ხალხის ფართო მასსამ შესძლოს მისი შეძენა, არც ხელფასია ისე მოწესრიგებული, რომ არსებულ სიძვირეს გაუმკლავდეს.

მიუხედავად ამისა საქონლის გაიაფებას და სიმრავლეს ეკონომიური მოვლენის ხასიათი აქვს და საჭიროა მისი შეფასებაც. ფასების დაცემა უკვე სისტემატიურად ხდება, აგერ სამი თვე შესრულდება, რაც პროგრესიულად ვითარდება ეს დაცემა. შაქარი 25 ათასიდან დავიდა 11 ათასამდე, ფქვილი 20 ათასიდან 7 ათასამდე, თეთრი პური 8 ათასიდან 5 ათასამდე, ხორცი 13-დან 7-8-მდე და ასე ყოველი საქონელი.

რით აიხსნება ეს მოვლენა? ჩვეულებრივად ამ მოვლენას ხსნიან ეგრედ წოდებულ სანიტარულ გადასახადით. ეს გადასახადი უმთავრესად ვაჭრებს დაადეს, მათ ფული არ აღმოაჩნდათ, იძულებული არიან გაყიდონ იაფად, რომ მოკლე ვადაში დაფარონ გაწერილი ვალი. ასეთია „მეცნიერული" ახსნა ხსენებული ეკონომიური მოვლენის. გამოდის, რომ საკმაოა ხელახლა გაეწეროთ მეორე 25 მილიარდი, მთავრობას ვალიუტა შეეძინება, საქონელიც გაიაფდება და, ესე იგი, ეროვნული სიმდიდრე აიწევს.

გადასახადებს ასეთი დადებითი ნაყოფის მოტანა არ შეუძლიათ. მართალია, გერმანიამ ომის წინ შემოიღო არაჩვეულებრივი დიდი პროგრესიული გადასახადი, თვით ევროპისათვის გასაოცარი, მაგრამ გერმანულ გადასახადებს და არც ერთი ქვეყნის გადასახადებს საქონლის გაიაფება არ გამოუწვევია. პირდაპირ უნდა ითქვას, სანიტარული გადასახადით ამ მოვლენის ახსნა ყოვლად შეუძლებელია.

მცირე დაკვირვებაც საკმაოდ გახსნის ამ „მეცნიერების" შინაარსს. ეხლა უკვე 20 მილიარდამდეა ტფილისში შეკრებილი, ასე რომ აკრებილია მხოლოდ 20 პროც., ესე იგი ნაღდი ფულის სიჭარბე ისე სასწრაფოდ არავის აქვს, ეხლა ხომ უნდა დაყენებულიყო ფასების მტკიცე მდგომარეობა მაღალ საფეხურებზე, მაგრამ გადასახადის მოკრების შემდეგაც ფასები ეცემა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიზეზი უფრო ღრმა და სერიოზულია. ნუ თუ სანიტარულმა გადასახადმა გააჩინა ხორცი, შაქარი, პურის ფქვილი და სხვა? ნუ თუ ყოველივე ეს იყო დამალული? რასაკვირველია, არა!

ვაჭართა კლასის ფულიდან დაწურვა საქონელს კი არ გაამრავლებს, პირიქით შეამცირებს, მაგრამ თუ საქონელი გამრავლდა ჩვენი ბურჟუაზიის დაწურვის შემდეგაც აშკარაა, მიზეზი უნდა ვეძიოთ ჩვენი ბურჟუაზიის გარეშე.

ცხოვრების გაიაფება გამოწვეულია იმ ცვლილებით, რომელიც მოხდა სახელმწიფოს ცხოვრებაში. და თუ ის პირობები არ შეირყა რაიმე ახალმა მოვლენამ, უბედურებამ—სიძვირის ტალღა უეჭველად შემცირდება რუსეთში საერთოდ, კერძოთ საქართველოშიაც. ჩვენ შევდივართ ეკონომიურ ცხოვრების აღმშენებლობის ხანაში, მდგომარეობა მტკიცდება, ნორმალური ურთიერთობა ფეხს იკიდებს და ყოველ ძალას ღირებულება ემატება.

[illegible] რომ დავასახელოთ მთავარი მიზეზები ცხოვრების გაიაფებისა შემდეგია:

1. საბაჟოების მოხსნამ ფასები დასცა რუსეთის ფასების დონემდე.

2. თვითონ საქართველო 6 თვეა ცხოვრობს უომრად.

3 1921 წლის 16 მარტიდან, რაც რუსეთმა ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულობა დასდო მოიხსნა რუსეთის ბლოკადა.

4. ვაჭრობის რაციონალური ნაციონალიზაცია.

ყველა ამ პირობაში, როგორც ფოკუსში, გამოხატულია რუსეთის ახალი ეკონომიური პოლიტიკა, გულისხმობს ქვეყნის წინაშე ახალ პერსპექტივების გაშლას და ცხოვრების სიძნელის დაცემას არა მარტო ბრძოლით, ბარიკადებით, არამედ საკუთარი სოციალისტური აღმშენებლობით, სოციალისტური სახელმწიფოს მეთვალყურეობით და კარნახით.

შეიძლება ითქვას, რუსეთმა რუბიკონი გადალახა, მას შემდეგ, რაც უმაღლესმა საბჭომ პარიზში (იანვარი 1921 წ.) აღიარა რუსეთთან ვაჭრობის დაწყება, ინგლისმა კი ფაქტიურად იცნო რუსეთი, ხოლო ბერლინში რუსეთის საელჩოც არის, ამას შემდეგ ხელშეკრულებები დადებულია შვეცია-ნორვეგიასთან და ამ შიმშილის დროს ამერიკასთან ამერიკის საგარეო ვაჭრობის მინისტრთან გუვერთან. ამიტომ ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჰერმეტული ბლოკადა მოხსნილია, რუსეთი სულს ითქვამს და ამის შედეგია, რომ კრასინმა ევროპაში [illegible] გააჩინა და ივლის-აგვისტოს განმავლობაში რუსეთში შემოზიდა თითქმის 10 მილიონი ფუთი სხვა და სხვა საქონელი. აქ არ არის საჭირო ჩვენი საგნისათვის იმის აღნუსხვა თუ რას აკეთებს რუსეთი ნედლი მასალის დამზადებისათვის, ყინულოვან ოკეანეში ექსპედიციის მოწყობით და ნავთსადგურების ამოძრავებით. ჩვენ ვხედავთ, რომ რუსეთის ეკონომიკაში ხდება ძირითადი ცვლილება, ვხედავთ ეკონომიურ ძალების გამოცოცხლებას და აი ამ ეკონომიკის გაცოცხლებაა ის მთავარი, ძირითადი მიზეზი, რომ ჩვენშიაც საქონლის სიმრავლე საგრძნობია, რომ ფასები ეცემა, რომ ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც მივექანებით უკეთესი ეკონომიური მომავლისაკენ.

ეს პროცესი პირობითია. ევროპას შეუძლია კვლავ არიოს ჩვენი და რუსეთის ცხოვრება, ავანტიურები, ახალი ომები კვლავ გაართულებენ მდგომარეობას უნაყოფო ბარჯები გაიზრდებიან, ბაზრები დარჩება, ნავთსადგურები დაცალიერდება, გაძვირდება ვალიუტა, ესე იგი საქონლის ფასი იმატებს, იგი შემცირდება, მაგრამ თუ რუსეთმა ამ უბედურობას თავი დაალწია, დაწყებული პროცესით ცხოვრება წინ წავიდა, მაშინ მივესწრებით სრულიად ნორმალურ ცხოვრებას, სადაც სახალხო დოვლათი ხალხისავე ხელში იქნება, სადაც სახელმწიფო იქნება არა ბატონებისათვის, არამედ მშრომელი ხალხისათვის, როცა სიმდიდრე კი არ იქნება ხალხის ბატონი, არამედ სიმდიდრე იქნება სასარგებლო იარაღი ქვეყნის აყვავებისათვის.

ნუ ავრევთ ამ პროცესს, ნუ უწყობთ ხელს არსებული მდგომარეობის არევ-დარევას, ვიმუშაოთ ყველამ, ვიბრძოლოთ ყოველივე ავანტიურის წინააღმდეგ—ეს იქნება რეალური გარანტია ცხოვრების გაუმჯობესობის და გაიაფების.

თედო ღლონტი.

რევოლუცია და საქართველო

2.

ვ. ლენინი აფრთხილებს განაპირა საბჭოთა რესპუბლიკების ამხანაგებს, რომ არ აწარმოონ „რუსოტიანული" პოლიტიკა.

ზინოვიევი სწერს: პროლეტარიატისათვის სულ ერთი არ არის შეუძლია თუ არა მას თავისი სამშობლო ენით სარგებლობა, ან კლასიურ ჩაგვრაზედ ეროვნული ჩაგვრის დამატება. „ჩვენ არ უარყოფთ საზოგადოდ სამშობლოს დაცვას".

ჩიჩერინი ამბობს „ნაციონალური საკითხის კომუნისტური გადაწყვეტა არის სრული შეუზღუდველი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება, განთავისუფლება ყოველგვარი მონობისაგან და ყველა ერთა მშრომელი მასის ურთიერთშორის ფედერაცია".

სტალინი გვეუბნება „ნაციონალური ჩაგვრის მოსპობა და საბჭოთა რესპუბლიკების განმტკიცება წარმოადგენს ერთი და იგივე პროცესის ორ მხარეს, მუშათა განთავისუფლებას იმპერიალისტური ჩაგვრისაგან".

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ამას ვერ ვხედავთ ჩვენ სინამდვილეში. საუბედუროდ ისტორია მეორდება, გვაგონდება ნეტარხსენებული მენშევიკები და მათთან კამათი ეროვნული საკითხის გარშემო. ვაი, რომ ორთოდოქსალი მარქსიზმით ისე მოიწამლა ზოგიერთა ტვინის ფუძეები, რომ ვერასოდეს ვეღარ ამოიფხიკება იგი თავიდან. ვაი რომ კიდევ საკამათოდ გვიხდება ქართული ენა, ქართული კულტურა, ქართული სახელმწიფო.

O tempora o mores!

ისტორიის უკუღმართობაც ასეთი უნდა. თუ საქართველო გულგრილად არ მოიხსენიე რეაქციონერი და შოვინისტი ხარ. სახელმწიფო ენათ თუ ქართული ენა მოითხოვე „თავ გასაჭირში" შევარდნილი ხარ...

ნეტა გვანახა ის უცნაური ადამიანი, რომელიც საქართველოს იმპერიალიზმმა გადააგვარა. ნეტა გვანახა მაინც ის უცხოელი, რომელსაც საქართველომ იარაღით ხელში მოახვია თავზე ქართული ენა, ქართული კულტურა...

ერთი ფაქტი საყურადღებოა. საქართველოში, ეროვნული სახელმწიფოს შექმნისათვის მუშაობდა საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია დაწყებული მენშევიკებიდან და გათავებული ესერებითა და უპარტიოებით. მთელი ძალების კონცენტრაციამ ძლივს შესძლო სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია და დღეს, როდესაც ჩვენ პოლიტიკურ არეზედ მარტო კომუნისტური პარტია სჩანს, ცხადია მას სუბიექტურად, თავისი შემადგენლობით არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია მთელი სახელმწიფოსათვის ეროვნული ელფერის მიცემა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნისტურ პარტიაში, როგორც საერთოდ ყოველ მმართველ პარტიაში, მოკალათებულია ზოგი საეჭვო ელემენტები და „რუსოტიანები", რომლის პოლიტიკა საქართველოს თვალსაზრისით არ შეიძლება [illegible].

ამიტომ დღეს საჭიროა პოლიტიკურ პარტიათა თანამშრომლობა. საერთოდ სოციალისტურ პარტიების შეთანხმება, რომელნიც რევოლუციის ნიადაგზე დგანან.

ისტორიის სამსჯავროს წინაშე მარტო ის კი არ წარსდგება, რომელიც შეგნებულად ან შეუგნებლად ღალატობს ეროვნულ საქმეს, არამედ ყველა პოლიტიკური პარტია, რომელიც პარტიულ ანგარიშებში სცვლის ეროვნულ საქმეს და პოლიტიკურ საბოტაჟს აწარმოებს მშრომელი ერის წინააღმდეგ.

ქართველმა ხალხმა დღესვე პასუხი უნდა მოთხოვოს მას, ვინც ერის სამსახურს გაურბის, ვინც პარტიას ერზედ მაღლა აყენებს, ვინც ხელის შეშლას ცდილობს და თვალი კი სხვა მხრივ უჭირავს.

ჩვენ სოციალისტ ფედერალისტები ვერავის ვერ ვანდობთ ქართველი ერის თავისუფლებისათვის ზრუნვას. ქართველი მშრომელი ხალხის ბედი მის შვილთა ხელში უნდა იყოს, მისი ნააზრევით უნდა იკვეთებოდეს, მის მაჯისცემას უნდა ემყარებოდეს.

ქართველი ხალხი გაბედულად უნდა შეუერთდეს რევოლუციის გრიგალს. საქართველომ რევოლუციის გზით უნდა იაროს და რევოლუციამ საქართველოს თავისუფლება უნდა გამოსჭედოს.

ხერ. ამაღლობელი.

მარქსიზმი და ლენინიზმი

II

(გაგრძელება *)

მარქსიზმის ძირითად პრინციპების მიმოხილვის შემდეგ ჩვენ აზრის არა იმდენად სერიოზული გაქანება დაგვჭირდება ლენინის მარქსისათვის დაპირისპირებისათვის. რუსეთის თანამედროვე რევოლუციის მიმართულება, მე-3 კომინტერნის სტრუქტურა და საერთოდ ლენინის სოციალ ეკონომიური პოლიტიკის მეთოდი ნამდვილი უარყოფაა ორთოდოქსალი მარქსიზმისა, აშკარავდება ყველა იმ ნაბიჯების ელემენტარი ანალიზით, რომელიც გადადგა და აწარმოვა ბოლშევიზმმა თავის ჰეგემონიის განმავლობაში. ბოლშევიკებმა, ამბობს ამხ. ღლონტი,—„ჩამოართვეს რა კაპიტალისტებს კერძო ინიციატივა, გააეროვნეს რა (национализировов) კრედიტი, ფაბრიკა-ქარხნები, სახლები, მიწები, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, მოაწყვეს რა საერთო შრომა და მინდვრების კოლექტიური დამუშავება ფართო მასშტაბით, ე. ი. მიაკუთვნეს რა მთელი ეკონომიური ბატონობა ქალაქს, თემს, კოოპერაციას და სახელმწიფოს, აჩვენეს მომავლის წინასწარ განსაზღვრულ გეგმასა და ძალებზე აგებულ მეურნეობის შემოღების მთელი შესაძლებლობა" 19). ამ კიდევ: „ბოლშევიკური პრაქტიკა რუსეთში კონკრეტულად უმტკიცებს ქვეყანას, რომ ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ სოციალ ეკონომიურ პირობებში გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე" 20). ცხადია, მარქსისტულ შემეცნებით რუსეთის ცხოვრების ეკონომიური განუვითარებლობა და სოციალ კლასთა რეალური ძალების განწყობილება [illegible] არ [illegible] დღის სოციალისტურ წარმოების შესაძლებლობას რუსეთში და არც პროლეტარიატი წარმოადგენდა მასსის უდიდეს ნაწილს. იქ კაპიტალიზმის დეგენერაციას არ ქონდა მიღებული რეალიზებული გამოხატულება. კონცენტრაცია პროლეტარიზაციის ევოლუცია ემბრიონალ სახეს წარმოადგენდა *). სოციალისტურ რევოლუციის დაწყების საქმეს მარქსი დას. ევროპას აკუთვნებდა, ხოლო რუსეთს, როგორც ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილ ქვეყანას, უნდა განევლო ყველა ის სტადიები და ფორმები, რომელიც კაპიტალიზმს ახასიათებს. მარქსისტული ეკონომიური დოქტრინა დოგმატიურია და თან მეტად ზოგადი: მას აქვს ყოვლადობის ხასიათი ქალაქი და სოფელი, ევროპა და აზია, ამერიკა და ავსტრალია, აფრიკა და სხ. არ არსებობს როგორც სხვა და სხვა კატეგორია, სადაც კაპიტალიზმის სახეები სხვა და სხვა ნაირად განიცდება და გამონაკლისობის კუთხეებიც არა ერთგვარია. კაპიტალიზმის სული მსოფლიოს ყოველ კუნჭულში იჭრება, რობინზონის კუნძულშიაც კი. მისი განვითარების კანონები დროისა და სივრცის გარეშე იმყოფება... „მრეწველობის მხრივ,—წერს მარქსი,—განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს აჩვენებს მათ საკუთარ მომავლის სურათს" 21). ამას ამტკიცებდა ბებელიც მისი აზრით, კაპიტალიზმის ძლევამოსილობით „სხვა და სხვა ქვეყნები უფრო და უფრო ერთნაირ სოციალ მდგომარეობაში ვარდება" 22). ერთის სიტყვით, მსოფლიო მასშტაბით ხდება ყველა ხალხების ეკონომიური ცხოვრების ნიველიროვკა. სპეციფიურ, გეოგრაფიულ თუ ისტორიულ მიზეზებით. ზოგ ქვეყანაში ელვის სისწრაფით იკიდებს ფეხს კაპიტალიზმი. ასეთ ქვეყანად ინგლისი ითვლებოდა, ინგლისის დანიშნულებაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ეჩვენებინა ჩამორჩენილ ქვეყნებისათვის „მათი საკუთარი მომავლის სურათი. მარქსმაც „კაპიტალი"ს ძირითად დებულებათა საილუსტრაციოდ ფაქტები ინგლისის ცხოვრების ისტორიიდან ამოკრიფა და აი რამოდენიმე წლის შემდეგ, ე. ი. 18[illegible]0 წ. მარქსი გენერალურ საბჭოს პირით უკვე აცხადებს: „მხოლოდ ინგლისი შეიძლება გახდეს სერიოზული ეკონომიური რევოლუციის ღერძი...

---

*) იხ. „ტრიბუნა" № 3.

19) Θ. Глонти. Азиатская политика большевиков, 34—35.

20) ibid., 25.

*) რამდენიმე წლის წინეთ ლენინი შეეცადა რუსეთში უდროოდ განვითარებული კაპიტალიზმის და გლეხთა დიფერენციაციის ფაქტიურ არსებობის დამტკიცებას ილინის ფსევდონიმით დაწერილ წიგნში: Развитие капитализма въ Россіи. მაგრამ ამ შრომაში ძირითადი დებულებები იმდენად [illegible] და სუბიექტური არგუმენტაციით, რომ ჩვენ სავსებით არ მიგვაჩნია მასზე შეჩერება. მხოლოდ ლენინზმის ოპონენტების შეხედულებას იმის დასამტკიცებლად, რომ „ლენინის შრომას არ აქვს არავითარი მეცნიერული ღირებულება". იხ. მისი Закономерность аграрной эволюции, ч. I.

21) К. Маркс. Капитал, т. I. წინასიტყვაობა. აქ კიდევ ვკითხულობთ: „Одна нація должна и может учиться у другой".

22) А. Бебель Женщина и социализм, 534—535.

ამ დებულებას რუსეთში თავგამოდებით პლეხანოვი იცავდა, რომელსაც სურდა ასეთ მოსაზრების რუსეთის ცხოვრებისათვის გამოყენება და იმის დამტკიცება, რომ რუსეთის ეკონომიური განვითარება სრულებით არ მიდის განკერძოებული გზით. იხ. Г. Плеханов. История русской общественной мысли, т. I, введеніе.

ეს ერთად ერთი ქვეყანაა, სადაც კლასთა ბრძოლამ და მუშების ორგანიზაციამ მიაღწია სიმწიფის ერთგვარ დონეს«23). მთელი ოცდა ხუთი წლით უფრო ადრე მარქსის ამ განცხადებამდე ფრ. ენგელსი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ სოციალისტური რევოლუციის პირველი სიტყვა ინგლისს ეკუთვნოდა. „არსად არ ჩამოქნილა საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი ისე მკაფიოდ, როგორც ინგლისში, და ამიტომ არსად არ შეიძლება მომავალ მოვლენათა ისე იოლად წინასწარმეტყველება, როგორც სახელდობრ აქ«24). აქედან ცხადია, რომ ორთოდოქსალური მარქსიზმი რევოლუციის საკითხს ასე სწყვეტს: „ეკონომიური რევოლუცია შესაძლებელია იქ, სადაც „საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი მკაფიოდ ჩამოქნილა," ე. ი. კაპიტალიზმი განვითარებულია უადრესად, რომელიც არ ეტევა თავის ქერქში და, მაშასადამე, არსებობს მრავალრიცხოვანი, ორგანიზაციულად შეკავშირებული და შეგნებულად მებრძოლი პროლეტარიატი. ამის აუცილებელი პირობები ინგლისში მოიძებნებოდა და მოიძებნება. მაგრამ განვლო დრომ და ამის მსგავსი იქ არა მომხდარა და ამ დღეს რუსეთში ლენინი უკვე აწარმოებს სოციალისტურ პოლიტიკას. განა ობიექტური პირობები მზათ იყო დღეს, მარქსისტული თვალსაზრისით,—სოციალიზმზე გადასასვლელად? განა საჭიროა იმის მტკიცება, რომ „საზოგადოებრივი დამოკიდებულებანი მკაფიოდ ჩამოქნილი" რუსეთში არ ყოფილა, როგორც ეს დას. ევროპაშია?! ლენინმა უდიდესი შემოქმედებითი რევოლუციონური როლი ითამაშა, რადგან მარქსისტული ფორმალი თავიდანვე შეავიწროვა და არ გაჰყვა ობიექტური პირობების მომწიფების ტალღებს. არც შეიძლებოდა რევოლუციის ხასიათი სხვანაირად მომხდარიყო. მარქსი მოელოდა ბურჟუაზიული საზოგადოების ევოლუცია ინდუსტრიალი კაპიტალიზმით თავდებოდა და შემდეგ კი იწყებოდა სოციალისტური სამეფოს საზღვრები. მაგრამ სინამდვილეში მოხდა წინააღმდეგი: ინდუსტრიალი კაპიტალი ფინანსიურ კაპიტალით შეიცვალა. ლიტერატურაში მარქსის „კაპიტალი"-ს ნაცვლად ჰილფერდინგის „ფინანსიურ კაპიტალს" დაეწაფნენ. ინდუსტრიალი კაპიტალმა ნახა განსხვავებული ახალი წერტილი და სხვა ფორმაში გარდაიქმნა. ინდუქტიურ ლოღიკას თუ მივმართავთ, ჩვენთვის წარმოსადგენი შეიქნება და ადვილად დასაშვები ის, რომ ფინანსიური კაპიტალი შემდეგშიც შეიცვლის ფორმას, სოციალისტური სახის გარეშე. „ეკონომიური ისტორია უკვე დიდი ხანია არ მიდის ისე,—ამბობს ედ. ბერნშტეინი,—რომ განვითარების ტენდენციები პრაქტიკულად აღწევდეს თავის უკიდურეს საზღვრებს« 25). მარქსისტულად რომ ემსჯელა ლენინს, ჩვენს წინაშე სულ სხვაგვარი პერსპექტივები გაიშლებოდა და რუსეთის რევოლუციაც პასიურ და მკრთალ ხასიათს მიიღებდა, სოციალისტური რევოლუცია ჩვენში, აზერბეიჯანში სომხეთში, წინა აზიაში, საზოგადოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმის ბასრი ბრჭყალები ჯერ კიდევ არ ამოქმედებულა და სადაც ხალხი არსებითად ფეოდალურ ურთიერთობაში იმყოფება ამტკიცებს იმას, რომ მარქსიზმმა დაკარგა თავისი პირვანდელი სახე. ლენინმა ხელის ერთი დაკვრით უარყო მარქსისტული გზით სიარული სოციალიზმისაკენ, მან ძლიერ ნაკლები ყურადღება მიაქცია ეკონომიურ ფაქტორებს, არსებულ საზოგადოების მომავლის ელემენტებით დაორსულებას, საერთოდ იმ მომენტის ჰვრეტას, როდესაც ჩამოსცემს „კაპიტალისტური კერძო საკუთრების უკანასკნელი საათი". მარქსისტული სოციოლოგიური პროგნოზი ევოლუციურ-ფატალურია, ლენინის კი აქტიურ-რევოლუციონური. ლენინიზმის დახასიათება პოზიტიურ სუბიექტივისტურ რაობით იმდენად სწორია, რამდენად ეხება მას პროგრესის იდეალისტური ფორმულა: „რა გინდ უმნიშვნელოა კაცობრიობის პროგრესი,—ამბობს პ. ლავროვი,—მაგრამ ისიც, რაც არის, განსაკუთრებით კრიტიკულად მოაზროვნეთა მეოხებითაა" 26). მარქსის აზრით, როგორც ვნახეთ, კაპიტალიზმის მექანიზმი თავისთავად მიექანება დამსხვრევისაკენ. იგი თვით წინააღმდეგობაშია, რღვევის პროცესშია, რომელიც უნებურად ქმნის უარყოფაში გადასასვლელ პირობებს. ასე გვასწავლის „მატერიალისტური" დიალექტიკა. განუვითარებელ და მოუმწიფებელ კაპიტალისტური წარმოების წესის მოსპობა და მისი სოციალურ ყაიდაზე გარდაქმნა კრიტიკულ პიროვნებათა ყოვლიდე ნებას აღემატება. ძლიერ პიროვნებას შეუძლია მხოლოდ ბებიის როლი ითამაშოს ეკონომიურ აუცილებლობის სამეფოში და მომავალ საზოგადოების ელემენტებით დაავადმყოფებულ არსებულ კაპიტალისტურ საზოგადოებას შეუმსუბუქოს მშობიარობის ტკივილები. აქტიური პიროვნების მოვლენაშია ტკივილების შემსუბუქება, შესუსტება, მაგრამ მისი სავსებით მოსპობა ადამიანის ძალღონეს აღემატება. საზოგადოებრივი ცხოვრებაში გენიალი პიროვნება სძლევს დამაბრკოლებელ დეტალებს, კერძოობით შემთხვევას, მარა მას, როგორც ამბობს პლეხანოვი,—„არ შეუძლია შესცვალოს საერთო მდგომარეობა, რომელიც სხვა ძალებისაგან განისაზღვრება"27). დღეს რუსეთში საზოგადოებრივი ცხოვრების აპარატი ლენინის ძლიერი ხელით მოქმედობს, და ეს აპარატი მიმართულია სწორედ „საერთო მიმდინარეობის" შეცვლისაკენ. ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური სახელმწიფო არ კვდება ბუნებრივის სიკვდილით, საჭიროა ძალდატანება, სწერს ლენინი. 28) ამის ჭეშმარიტებაში ჩვენ ეჭვი არ გვეპარება. ბურჟუაზიული სახელმწიფო არ მომკვდარა და არც მოკვდება ბუნებრივი სიკვდილით. საჭიროა რევოლუციონური აქტივიზმი, რეალობის ხელოვნური გარდაქმნაც სხვათა შორის, პროფ.-ტუგან-ბარანოვსკი სწერდა ამის შესახებ: „არ არის არავითარი საფუძველი იმის დასაშვებად, რომ კაპიტალიზმი ოდესმე მოკვდება ბუნებრივის სიკვდილით, როგორც ასე მარქსი ფიქრობდა" 29) დიახ, აუცილებელია ძალდატანება! ბოლშევიკური პრაქტიკა ეკონომიურ მატერიალიზმის მეთოდით არ წარმოებულა და არც დღესაც სწარმოებს; ლენინს მარტო მდგომარეობით კი არ მივყევართ შეგნებისაკენ, პირიქით, შეგნებიდაც მდგომარეობისაკენ. აქედან ლოღიკურია ლენინის მიერ უარყოფა დახავსებული „ძირ მომპალ" სოც.-დემ. სახელწოდების, უკუგდება მარქსისტულ დევიზის „დემოკრატიზმით სოციალიზმისაკენ" და მის ნაცვლად ლოზუნგ „დიქტატურით კომუნიზმისაკენ" აღიარება.

ბ. მუშიშვილი.

(დასასრული იქნება)

---

23) Письма Маркса к Кучельману, 69.

24) Ф. Энгельс. Положение рабочего класса в Англий, 332.

25) Э. Бернштейн. Реалистический и идеалистический моменты в „социализме, 25.

26) Я. Лавров. Исторические письма, 78.

27) Н. Бельтов. за 20 лет К вопросу о роли личности в истории, 444—452.

28) ნ. ლენინი. სახელმწიფო და რევოლუცია, 22—23.

29) Туган-Барановский. Общественно-эк. идеалы, 48.

ტირილი ღამეში

ღამის ნაბადი გახუნდება ცივ ალიონით,
დამთვრალ კაფეში მზის მოსვლამდის დამაყოვნდება,
წამიღებს ფიქრი ჰიქა ლუდით, შავ ყალიონით
და მთვარეულად ჩემი სახლი მომაგონდება.

ისლით ნახური წაბლის ოდა —ლხენის ბანაკი,
გიშრის ყანწებით ლალის ღვინო—სახე მზიანი,
თავაზიანი იმერეთი და ფაფანაკი,
ჩემი ოჯახი გულღია და ხალისიანი.

გამიცოცხლდება ჩვენი ქალა და თევზაობა,
მთა ნაქერალის—ზურმუხტებით გადანამწვანი,
მარად ბრწყინვალე, ქედმაღალი ნათესაობა,
ცხელ ანდამატით შეჯაჭვული რვანი დან-ძმანი.

წინ მიგვიძღვება ვერცხლის წვერით მამა გიორგი,
ღვთისმშობელივით თავს გვევლება მზე მინადორი;
მათ სანეტაროთ—დატვირთული ათას იოგით—
შევებმი ღმერთებს, ვით გიჟ ხარებს ტორეადორი.

მომენატრება უცნაური, ჩუმი სოფელი,
მარჯნის ვაშლები—ბავშვობაში ჩემი დარგული,—
და ავტირდები მე—მსოფლიოს უარმყოფელი,—
უცხო ქალაქში სასიკვდილოთ გადაკარგული.

ივ. ყიფიანი.

ახალი ამბები

— პარიზის „ტანში"-ში დაბეჭდილია ნ. ჟორდანიას და კ. ჩხეიძეს მოწოდება საქართველოს შესახებ. ეს მოწოდება დაიბეჭდება ჩვენი გაზეთის სამშაბათის ნომერში.

— **ტფილისის საერთო განათლების კურსებზე** დამატებითი გამოცდები წარსულ სემესტრის მე-8 კლასის მსმენელთათვის დაიწყება ორშაბათს, სექტემბრის 26-დან.

— **ლექცია.** სამშაბათს, 27 სექტემბერს მუშ.-თა კლუბში შესდგება ლექცია პროფ. ავალიანისა შემდეგ თემაზე: ეკონომიური შედეგები მსოფლიო ომისა.

— **ოთხებ იმედაშვილს,** რომელიც ამ ჟამად მძიმე ავადმყოფია, ეჭირვება დახმარება. ყოველგვარი დახმარება მიიღება „ქართ. ბეჭვდითი ამხანაგობის სტამბაში" რუსთაველის პრ. № 26, შალვა იმედაშვილთან.

საითაც გაიქეცით, ყველგან წაიქეცით

ყველამ ვიცით, რომ რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა ნივთიერი გაჭირვება აუტანელია და შეიძლება ეს ნივთიერი გაჭირვება ახლო მომავალში კიდევ მეტად გართულდეს. დღევანდელი ნატურალური დახმარება, რომელსაც მუშა-მოსამსახურე ღებულობს ბეღურასაც ვერ დააკმაყოფილებს, არამც თუ ადამიანს და მიკვირს, რად არ შეეკითხებიან თავის თავს ჩვენი იდეური ამხანაგები, თუ რა ასულდგმულებს დღეს მუშა მოსამსახურეს და როდემდის შეიძლება მათ შეინარჩუნონ ფიზიკური არსებობა ამ პირობებში!?

ეს საკითხი არავის არ აინტერესებს. სჩანს, რომ „მაძღარს მშიერიც მაძღარი ჰგონია". ამაზე ჩვენ მხოლოდ გვეუბნებიან: „არა გვაქვს და რა მოგცეთ"-ო არ ქონება ღვთისა არს და ეს კიდევ მადლობა ღმერთს, რომ ლმობიერი პასუხია. რა ვუყოთ არ არის, თორემ დარწმუნებული ვართ მივიღებდით, მხოლოდ თუ ჩვენ შეკითხვას გვზედავთ; „რატომ არ არის როცა შესაძლებელია რომ იყოსთქო", მაშინ ჩვენ მივიღებთ ძალადობა-მუქარის პასუხს იმ ამხანაგებიდან, რომელთაგანაც ჩვენ უნდა მოველოდეთ პირიქით მხოლოდ ჩვენი ინტერესების დაცვას. ამის შესახებ მომყავს შემდეგი მაგალითი: ამ ორი დღის წინეთ ჩვენი განყოფილების შვიდი სათადარიგო აგენტი ყველა ქართველები მივავლინეთ სომხეთის რკინის გზას, ალექსანდროპოლში წასასვლელად. იქ საქართველოსთან შედარებით ძლიერ ცივი ჰავაა და რადგან ჩვენ არ ვიყავით უზრუნველყოფილი თბილი ტანისამოსით და ფულით, აგრეთვე შეგვრჩებოდა ცოლშვილი ზამთრისთვის მოუმზადებელი და ამის გამო ეს მივლინება გვექადდა ფიზიკურ განადგურებას, მივმართეთ გზის მოძრაობის უფროსს ვეიზერს, რომ მას მოეხსნა განკარგულება ჩვენი უზრუნველყოფისა ნივთიერად, მაგრამ მისგან ცივი უარი მივიღეთ. მან გვიპასუხა: აქ „ლავოჩკა" არა მაქვს და მოითხოვა მივლინების დაუყოვნებლივ აღსრულება. ამაზე ჩვენ ჩვენი უარყოფითი პასუხი მივეცით და დაგვრჩა ერთი გამოსავალი გზა ამ გაჭირვებიდან, ის რომ მივმართეთ ამავე საკითხით გზის ცენტრალურ მუშ.-თა კავშირს, განსაკუთრებით ამხანაგ კავშირის თავმჯდომარეს ჩვენი გაჭირვება და ვთხოვეთ დახმარება, რომ სამგზავრო თბილი ტანისამოსი მოეცათ, მაგრამ იმანაც გვიპასუხა: „არა გვაქვს და რა მოგცეთო" და როდესაც ჩვენ აუხსენით, რომ ჩვენ ისე სომხეთში მივლინებაზე წასვლა არ შეგვიძლიათქო, ის დაგვემუქრა: „არ წახვალთ, თქვენ ამხანაგებს შეგიერთებთ ჩეკაშიო" „ან თუ არ გსურთ, ციმბირის ვაგონში ამოგაყოფინებთ თავსო", აი რას გვეუბნება ჩვენი გულშემატკივარი დამცველი კავშირის თავმჯდომარე, აი მაგალითი მისგან ჩვენი ინტერესების დაცვის. აქ შეგიძლიათ ამოიკითხოთ თუ როგორ უეცრად იღლება ადამიანის გრძნობა-უფლება და მის გულში რჩება მხოლოდ მწარე მოგონება იმ წმიდათა წმიდის, რომელსაც თავისუფლება და სოციალიზმის მოძღვრება გვიქადდა.

სათადარიგო აგენტი ნიკოლოზ ჭუმბურიძე.

განმარტება.

(ს. კ. კომუნისტურის პარიკმახერების სექციის და საცენტრალო კომისიის თავმჯდომარის ლავრენტი ქანთარიას საყურადღებოდ)

ამხ. ქანთარია! გაზ. „ტრიბუნა"-ს № 26 წაიკითხე „რედაქციის მიმართ" თქვენი წერილი, რომელიც არის პასუხი ჩემი პატარა წერილისა. საკითხი შეეხებოდა პარიკმახერების მოქმედებას ქ. ტფილისში. ჩვენ რაც წინა წერილში დავწერეთ, იმავე აზრისა ვართ დღესაც. თქვენ ამას თითქოს არ იზიარებთ და რადაც ბუნდოვნად გვპასუხებთ. თქვენ ამბობთ თქვენს საპასუხო წერილში, რომ —„თბილისში არ მომხდარა საპარიკმახეროების ე. წ. ნაციონალიზაცია. არის მხოლოდ ერთი საბჭოთა საპარიკმახერო. მიიღო რა მხედველობაში კავშ. „კომ. მეურნის" პარიკ. სექციის გამგეობამ, რომ თავისუფალ ფასებში არა აქვთ შეძლება მუშა-მოსამსახურეთ ისარგებლონ საპარიკმახეროებით, ამიტომ თავს იდო ინიციატივა გამომუშავებულიყო ნიხრი მუშა მოსამ. საპარიკმახეროებით სარგებლობის შესახებ..."

აქ ამხ. ქანთარია [illegible] ჯერ არ [illegible] ნაციონალიზაცია [illegible] ადასტურებს, რომ პარიკმახერები ჯერჯერობით არა ღებულობენ სურსათ-სანოვაგეს სახელმწიფო ფონდიდან, მაშ რა ფულებს იღოვებდა სექციის გამგეობა, რომ იმუშავებდა ერთგვარ ნიხრს რომელიც უნდა გავრცელებულიყო ტფილისის პარიკმახერებზედ? და თუ გქონდათ ნიხრის შექმნის უფლება, რომელიც უკვე 14 ივლისიდან ტარდება ცხოვრებაში, რის შესახებაც პარიკმ. სექციის ეს დადგენილება ცირკულიარულად ეცნობათ როგორც მუშებს, აგრეთვე პარიკმახერებსაც, აქედან ცხადია, რომ სექციის დადგენილებას ჰქონია დადებითი მნიშვნელობა და რადგანაც ეს ასეა, ჩვენ წინადაც ვკითხეთ და ახლაც გეკითხებით—მაშ რატომღა ხდება „გაუგებრობა?" თქვენ ამბობთ—„ცხადია ნიხრის ცხოვრებაში გატარებას უნდა მოჰყოლოდა სამწუხაროდ გაუგებრობა-უსიამოვნებანი როგორც მაგალითად „მანდატიანების" ბოროტება. გეთანხმებით, რასაკვირველია, ბოროტებას ყველგან აქვს ალაგი, მაგრამ რატომ შეიძლება რომ მოხდეს ეს ბოროტებანი? ვისგან არის დამოკიდებული ეს საქმე რომ ბოროტმოქმედება აცილებულ იქნეს? ფიქრობთ ეს მათ უფრო უკეთ ეცოდინებათ, ვისაც ეს ფუნქცია ეკუთვნის.

თქვენ მიგვითითებთ საბჭოთა საპარიკმახეროზე სადაც ჩვენი „უფლება" სავსებით ტარდება, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ იგივე ამბავი მეორდება საბჭოთა საპ.—ში, როგორც კერძოში და 100 და 200 მან. მაგიერ აყალ-მაყალით ახდევინებენ 3—5 ათას მანეთს. და ამავე დროს მიიღეთ სახეში ისიც, რომ საბჭოთა საპარიკმახეროში ბევრი კერძო პირებიც სარგებლობენ რითაც ძალიან ხელს უშლიან იმ მუშა-მოსამსახურეთ, ვისთვისაც ეს საპარიკმახერო მოწყობილი და გვერწმუნეთ, რომ ამ სტრიქონების დამწერს ბევრჯელ მოხდომია „რიგში" დგომა და მაინც ვერ დაკმაყოფილებულა და იძულებული ყოფილა კერძო საპარიკმახეროში გადაეხადა ორი დღის ნაშრომი ე. ი. 10,000 მან. საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ მუშათა შორის წონასწორობის განმტკიცება. ცოდოა,მუშა, როდესაც ორი დღის ნამუშევარს ერთჯერ პირის გაპარსვაში აძლევდეს და არც ის არის კანონიერი რომ გაპარსვა-გაკრეჭაში პარიკმახერს მხოლოდ 200 მან. ვუბოძოთ. მით უმეტეს, რომ კერძო პარიკმახერები სურსათ-სანოვაგით არა სარგებლობენ. ამ ნიადაგზე გაუგებრობა და უსიამოვნება სისტემატიურად მართლაც არის და ამის თავიდან ასაცილებლად კარგს იზამდა პარიკმახერთა სექცია, რომ თავის წინანდელ დადგენილებას ხელახლა გადაესინჯავდეს და ახალ დადგენილებას სინამდვილეში წესიერად გაატარებდეს.

მუშა პრეფექტი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.

განცხადება

თანახმად ფოთის რევკომის მინდობილობისა ფოთის ხე-ტყის დამამზადებელი განყოფილება იწვევს მსურველთ კერძო პირთ ან ამხანაგობებს, იკისრონ მახლობელ ტყეებში ორი ათასი კუბიკური საჟენი შეშის, ერთბაშად ანუ ნაწილობრივად დამზადება-გამოზიდვა და ფოთში ჩაბარება, დანიშნულ ვადაში, იმ პირობით, რომ სასყიდელი მიიღონ ნატურით ე. ი. შეშის ნაწილით.

მსურველმა უნდა წარმოადგინოს ხე-ტყის განყოფილებაში (ფოთი, 26 მაისის ქუჩა, ალანიას სახლი) განცხადება, რომელშიაც უნდა აღნიშნოს რამდენ საჟენის ჩაბარებას კისრულობს და რა ნაწილს ითხოვს; აგრეთვე უნდა წარადგინოს პირობის უზრუნველსაყოფელი საწინდარი.

დაწვრილებითი პირობების გაგება შეიძლება ხე-ტყის განყოფილებაში ყოველ დღე დილის 9-დან ნაშუადღევის 2 საათამდე.

ფოთის ხე ტყის განყოფილების გამგე გ. საბახტარიშვილი.

სახელმწიფო საოპერო თეატრში იძლევა ქირით
1921—22 წ. სეზონში თეატრის
ბუფეტები და საკანდიტრო.

ქირის აღების მსურველთ უნდა შემოიტანონ განცხადება დაბეჭდილ პაკეტებში თეატრის გამგის სახელზე პაკეტზე ზედწარწერით „ბუფეტის იჯარა", „საკონდიტროს იჯარა" პირობების გაგება შეიძლება თეატრის კონტორაში. განცხადებები მიიღება ამა წლის სექტემბრის 26 ს დილის 10 საათზე.

ტირაჟი 1000
ნ. დ. ს. ც.